

## ინტელექტუალური და მისი ზოგიერთი მოდელი

ჯემალ ნიკურაძე, ვახტანგ კვინტრაძე, ვახტანგ მელაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

### რეზიუმე

მოცემულ სტატიაში განხილულია ინტელექტუალური საკი თხები. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის შესწავლა დიდი ხანია მიმდინარეობს ჯერ კიდევ არ არსებობს ინტელექტის, საერთო, ყველასთვის მისაღები დეფინიცია. სტატიაში მოყვანილია სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულება (მოდელები) ინტელექტის არსის შესახებ. მათ შორის განსხვავებების მიუხედავად მათ ბევრი საერთოც გააჩნიათ. ჩვენ შევეცადეთ გვერდებინა ეს განსხვავებები თუ მსგავსებანი ამ სფეროთი დაინტე რესებულ პირთაოვის.

**საკანო სიტყვები:** ინტელექტი, ინტელექტის მოდელები, ასპექტი, ფაქტორი.

### 1. შესავალი

ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების (უნარების) პრობლემა, სწავლების პრაქტიკაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. პირველ რიგში ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სწავლების პროცესის შედეგი გარკვეულწილად დამოკიდებულია მოსწავლის ინტელექტუალურ უნარებზე (შესაძლებლობებზე), თუმცა ბევრი მკვლევარი ასახელებს სხვა მნიშვნელოვან ფაქტორსაც:- მოტივაციას, წინა ეტაპის მომზადების დონეს, დამოუკიდებელი მუშაობის უნარებს და ა.შ. ამას გარდა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მრავალი მეცნიერისა და პრაქტიკოს-პედაგოგის მიერ გამოითქმებოდა აზრი, რომ განათლების გარემო უნდა იქნებოდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარების (შესაძლებლობების) გათვალისწინებით, მათ შორის ინტელექტუალურის-მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი სწავლების მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა. მიუხედავად ინტელექტის ბუნების შესწავლის ასწლოვანი ისტორიისა იგი მაიც რჩება დისკუსიის საგანი.

პირველ რიგში მკვლევართა აზრი იყოფა ინტელექტის დეფინიციის საკითხში და არ არსებობს, ერთი მაიც, სტანდარტული განსაზღვრება, რომელსაც ყველა ემსრობო დეს. მაგალითად ერთი აკეთებენ აქცენტს იმაზე, რომ ინტელექტი- ეს არის ახალი ცოდ ნის მიღების უნარი, სხვები კი სწავლობენ ინტელექტის სოციალურ ასპექტებს. ზოგი ერთები აღნიშნავენ ინტელექტის მრავალმხრივ სტრუქტურას. მაგალითად ჩ. სნოუ გამო ყოფს ინტელექტის ექს ასპექტს: ცოდნაზე დაფუძნებული აზროვნება; გაგება; შეგუებითი მიზანმიმართული ბრძოლა; ანალიტიკური მსჯელობა; შემუცნებითი აქტივობა და იდიოსინკრაზიული სწავლება.

### 2. ძირითადი ნაწილი

საკითხის სირთულის გამო, ინტელექტის თანამედროვე კონცეფციები თავის თავში მოიცავს მრავალ დონეს და დეფინიციას.

ტერმინოლოგიის თვალსაზრისით ინტელექტი წარმოადგენს „აზროვნება“ და „ინტელექტი“ ცნებების თანაფარდობის ანალიზს. აზროვნება და ინტელექტი არსით ახლო ტერმინებია. ჩვეულებრივ ყოფით მეტყველებაში ინტელექტს შეესაბამება სიტყვა „ჭკუა“. როცა ვამბიბოთ-„ჭკვიანი ადამიანი“, ამით ჩვენ აღვნიშნავთ ადამიანის ინტელექტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ტერმინს „აზროვნება“ ყველაზე უფრო შეესაბამება სიტყვა „ფიქრი“. სიტყვა „ჭკუა“ გამოხატავს უნარიანობის თვისებას, ხოლო „ფიქრი“-პროცესს. ამდენად ორივე ტერმინი გამოხატავს ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვა მხარეს. ინტელექტუალურ ადამიანს გააჩნია აზროვნების უნარი. ინტელექტი, ეს არის აზროვნების უნარი, ხოლო აზროვნება კი არის

ინტელექტის განვრცობის (გაშლის) უნარი. აზროვნება და ინტელექტი ძველთაგანება ითვლება ადამიანის მნიშვნელოვან გამორჩეულ მახასიათებლებად. თანამედროვე ადამიანის განმსაზღვრელად ტყუილად არ იხმარება ტერმინი *Homo sapiens* - გონიერი ადამიანი. ინტელექტი, ფართო გაგებით, ეს არის ინდივიდის შემცნებითი ფუნქციების ერთობლიობა: შეგრძნებიდან და აღქმიდან აზროვნებამდე და წარმოდგენამდე. უფრო ვიწრო ფარგლებში ეს არის აზროვნება. ინტელექტი წარმოადგენს სინამდვილის აღქმის მირითად ფორმას.

განვიხილოთ ინტელექტის ყველაზე ცნობილი მოდელები უფრო დაწერილებით. კ. სპირმენის მოდელი აღიარებს ინტელექტს როგორც ზოგად ფაქტორს, რომელიც წარმოდგენილია ინტელექტუალური ფუნქციონირების ყველა დონეზე. იგი ეყრდნობა იმას, რომ სხვადასხვა ინტელექტუალური ტესტების შესრულების შედეგებს შორის თავს იჩენს დაგებითი კორელაციური კავშირი. ამ კავშირის საფუძველს, სპირმენის თანახმად, ქმნიდა თითოეულ ტესტში არსებული რაღაც ზოგადი საწყისი, რომელსაც ეწოდა ინტელექტის ზოგადი G ფაქტორი. G-ფაქტორი განისაზღვრება, როგორც „გონებრივი ენერგიის“ საერთო რაოდენობა. გარდა G-ფაქტორისა, სპირმენმა გამოყო S-ფაქტორი, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ სახის ინტელექტუალური აქტივობის თითოეული კონკრეტული ტესტის სპეციფიკას. ამრიგად სპირმენის მოდელი შეიძლება დავა ხასიათოდ როგორც ორფაქტორიანი მოდელი. სპირმენის თანახმად თითოეული ადამიანი ან ხასიათება ზოგადი ინტელექტის გარკვეული დონით, რაზედაც დამოკიდებულია ამ ადამიანის გარემოსთან ადაპტაცია.

სპირმენის მთავარი ოპონენტი იყო ლტერსტოუნი, რომელიც უარყოფდა G-ფაქტორის არსებობას. ტერსტოუნის აზრით არსებობს დამოუკიდებელი უნარების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც განსაზღვრავენ ინტელექტუალური საქმიანობის წარმატებულობას, რომლებსაც მან უწოდა „პირველადი გონებრივი პოტენციალები“. მან გამოყო 12 ფაქტორი, რომელთაგანაც 7-მა მიიღო „პირველადი გონებრივი უნარები“-ს სახელწოდება: S (სივრცობრივი), P (აღქმა), N (გამოთვლითი), V (ვერბალური გაგება), F (მეტყველების შეუფერხებლობა), M (მეხსიერება), R (ლოგიკური მსჯელობა). შედეგად გაკეთებული იყო დასკვნა იმის შესახებ, რომ გამოყრნებული უნდა იყოს არა ერთადერთი მაჩვენებელი, არამედ გონებრივი უნარების შესაბამისი პროფილი.

აუცილებელია ვახსენოთ რ. კეტელის მიერ შემთავაზებული მოდელი. მან გამოყო ორი ფაქტორი-„თავსუფალი“ (ან „მიმდინარე“) და „ბმული“. „ბმული“ ინტელექტის ფაქტორი განისაზღვრება პიროვნების ინტელექტუალური ჩვევების და ცოდნის ერთობლიობით, რომლებსაც ინდივიდი სოციალიზაციის შედეგად შეიძენს ადრეული ბავშვობიდან სიცოსხლის ბოლომდე. ფაქტორულ-ანალიტიკური კვლევებისას ჩნდებიან ახალი სპეციფიური ფაქტორები, რომლებიც აღწერენ ინტელექტის მუშაობას.

ინტელექტის ბუნების გაგების ყველაზე გამოკვეთილი წარმომადგენელია გ. აიზენკი. იგი გამოყოფს ინტელექტის სამ სახეს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მისი ბუნების ახსნის მიღვომებთან:

- ბიოლოგიური ინტელექტი, რომელიც გულისხმობს შემეცნებითი ქმედების ფიზიოლოგიურ, ნეიროლოგიურ და ბიოქიმიურ საფუძვლებს;
- ფსიქომეტრული ინტელექტი, რომელიც განისაზღვრება ინტელექტის კოეფიციენტის გაზომვის სტანდარტულ ტესტებით -(IQ)-ინტელექტის დონის რაოდენობრივი შეფასებით;
- სოციალური (ანუ პრაქტიკული) ინტელექტი, როგორც სასარგებლო სოციალური ადაპტაციის გამოვლინება.

80-იანი წლების და 90-იანები დასაწყისში ყველაზე მეტი სახელი მოიხვეჭა პ. სტერნბერგის ინტელექტის კონცეფციამ. მან გამოიკვლია საკითხი თუ როგორ ხდება ჩვეულებრივ

საზოგადოებრივ შემტეცნებაში ცწება „ინტელექტუალური“ რეპრეზენტირება, ექსპერტების გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ფაქტორული ანალიზის კვლევების საფუძველზე. შედეგად მან გამოყო ინტელექტუალური ქცევის სამი ფორმა:

- ვერბალური ინტელექტი (სიტყვათა მარაგი, ერუდიცია, წაკითხულის გაგების უნარი);
- პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
- პრაქტიკული ინტელექტი (მიზნების მიღწევის უნარი).

ინტელექტუალურ პროდუქტულობაში განსხვავების ასახსნელად პ. სტერნბერგი გამოყოფს ინტელექტის კომპონენტების სამ ტიპს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ინფორმაციის გადამუშავებაზე:

- 1) მეტაკომპონენტები-ძართვის პროცესები, რომლებიც არეგულირებენ ინფორმაციის გადამუშავების კონკრეტულ პროცესებს.
- 2) შესრულების კომპონენტები-იერარქიის უფრო დაბალი პროცესები. კერძოდ ე.წ. „ინდუქტიური აზროვნების პროცესი“.

3) ცოდნის შემნის კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია, რომ სუბიექტმა ისწავლოს იმის კეთება რასაც აკეთებენ მეტაკომპონენტები და შესრულების კომპონენტები.

სტრუნბერგის თანახმად, ინტელექტი ეს არის სწავლა და ამოცანების გადაწყვეტა არასრული ახსნის პირობებში. მოცემულ კონცეფციაში მთავარია, ინფორმაციის მენტალური რეპრეზენტაციის როლის შესწავლა ამოცანების გადაწყვეტისას.

3. სტრუნბერგის ოპონენტად გვევლინება ხ.გარდნერი. იგი (ისევე როგორც პ. სტრუნბერგი) აკრიტიკებს გ.აიზენგას ე.წ. არდ წაყ-ხისტ გზას, ფსიქოფიზიოლოგიურ გზას მთლიანობაში და განმარტავს ინტელექტს უფრო ფართოდ. ხ. გარდნერი ამტკიცებს, რომ ინტელექტი ეს არ არის მარტო მოვლენა, რომელიც შედგება მრავალფეროვანი უნარებისგან. მისი აზრით არსებობს მრავალი სახის ინტელექტი, რომელთაგან თითოეული მნიშვნელოვანია თავისებურად და დამოუკიდებელია სხვებისგან. მეცნიერმა გამოყო 7 სახის ინტელექტი: ლინგვისტურ-ვერბალური; მათემატიკურ-ლოგიკური; სივრცობრივი; მუსიკალური; სხეულოვანი-კინეტიკური; ინტერპერსონალური (პიროვნებებს შორის) და ინტრაპერსონალური (თვითონ პიროვნების შიგნით).

სტერნბერგისა და გარდნერის მოდელები ეს არის სისტემური თვალსაზრისები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ინტელექტი ეს არის როული და მთლიანი სისტემა.

### 3. დასკვნა

ინტელექტის პრობლემის ანალიზისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ძირითად სირთულეს ამ სფეროში წარმოადგენს ინტელექტის არსის ხედვის ერთიანი თეორიული შეხედულების უქნოლობა. მიუხედავად ამისა არსებობს ინტელექტის წარმოდგენის საერთო პოზიცია, როგორც უნარების ერთიანობისა, რომელიც განსაზღვრავს ინტელექტუალური ქმედების ყველა ასპექტს დაკავშირებულს ადამიანის ბუნებრივ შესაძლებლობების განვითარების მიზანით. საერთო უნარებიდან მკვლევარები გამოყოფენ სპეციალურ უნარებსაც. დაგნილია, რომ ინტელექტი არის შემტეცნებითი უნარების სისტემური გამოვლინება, რომელთავისაც გონებრივი შესაძლებლობები (უნარები) წარმოადგენს საერთო ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს სხვა უნარებზე.

მოსწავლეთა (როგორც ბავშვების, ასევე მოზრდილების) ინტელექტუალური დონის პროგნოზირებადი მატება მოითხოვს, რომ უკვე ახლა შემუშავდეს უფრო მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები სკოლებისთვის და უმაღლესი სასწავლებლებისთვის, რათა მოსახლეობის მაქსიმალურ რაოდენობას მიეცეს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა.

**ლიტერატურა:**

1. Дружинин В.Н. Психология общих способностей. С-Пб., 2007
  2. Айзенк Г.Ю. Интелект: новый взгляд. Вопросы психологии, №1. 1995
  3. Стернберг Р.Д. Триархическая теория интеллектаю Иностранныя психология, №6.
- 1996
4. Шадриков В.Д. Способности и интеллект человека. М., 2004. ст. 63-114.

**INTELLECT AND ITS MODELS**

Nikuradze Jemal, Kvintradze Vakhtang, Meladze Vakhtang  
Georgian Technical University

**Summary**

In the given paper problems of intellect are considered. In spite of that the problem is studied for a long time there is not universal definition of intellect. In the article, several models of several authors of intellect are represented. There are many distinctions among them but there is also common view on that problem. We intended to show all of those differences and conjunctions to persons who are interested of this scope.

**ИНТЕЛЛЕКТ И ЕГО НЕКОТОРЫЕ МОДЕЛИ**

Никурадзе Дж. Квинтрадзе В. И., Меладзе В. Д.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассмотрены вопросы, касающиеся интеллекта. Несмотря на то, что изучение вопроса идет довольно долго, пока еще не существует единная дефиниция определения интеллекта. В статье приведены разные модели разных авторов о сути интеллекта. Несмотря на расхождения между ними, можно увидеть и много общего. Мы постарались показать лицам, заинтересованным этой сферой, эти разногласия и совпадения.